დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირინა დვალი
წევრ(ებ)ი: დავით ჭეიშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223104432

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ასპინძის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორგორა
საფოსტო ინდექსი	3199
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	s://skolebi.emis.ge/schools/1762?schoolName=სსიპ%20-%20ასპინძის%20მუნიციპალიტეტის%20სოფელ%20ორგორის%20საჯარო%20სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	orgori@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	595913978

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 21 აპრილის MES 462180 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 21 აპრილის MES 462180 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი **სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლაში** დოკუმენტების შესწავლით. მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვილი იქნა №1 და №4 სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფოტომასალა და სათანადო მტკიცებულებები.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა დასკვნის პროექტში.

სკოლამ გაიზიარა დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნები, მოსაზრებები, შეადგინა შესაბამისობის გეგმა, გამოაგზავნა ცენტრში. ექსპერტებმა გაითვალისწინებს სკოლის მიერ მოწოდებული მასალები და მის საფუძველზე შეადგინეს დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
40	**34**

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლამ გაიზიარა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები მოსაზრებები და ხარვეზები, კერძოდ:

1.თავდაპირველად სკოლის მიერ წარმოდგენილი არ იყო კითხვარები ან სხვა მსგავსი კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებითაც სკოლა სასკოლო საზოგადოებისგან იღებს კარიერული განვითარების შესაძლებლოების შესახებ მომსახურეობის შეფასებას და რომლის ანალიზის შედეგების გათვალისწინებითაც გეგმავს მომავალი წლის მომსახურეობას. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის ანონიმური კითხვარი, ბრძანება კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და მომსახურების შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფის ანალიზი და დასკვნა, რომელშიც გამოკვეთილია მასწავლებელთა და სკოლის პერსონალთა საჭიროებები. ანალიზის შედეგებისა და დასკვნის შედეგად, სკოლამ დაგეგმა 2026-2027 სასწავლო წლის მომსახურება, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული პროცესის დასრულების ვადად სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრა 2027 წელი, ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №4.2.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცეს რეკომენდაცია:**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარებით, რომლებიც ეხება მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის კარიერული განვითარებისა და შესაძლებლობების შეფასებას/ანალიზს, სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლისთვის, უნდა დაასრულოს კვლევა და მისი შედეგები გაითვალისწინოს სამოქმედოდ.

მნიშვნელოვანია, სკოლამ კვლევაში ჩართოს მოსწავლეები და მიიღოს მათგან ინფორმაცია კონკრეტულად კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შესახებ.

2. თავდაპირველ ეტაპზე სკოლა არ წარმოუდგენია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ასევე დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდებოდა, როგორ ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ. ამასთან, სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა, რომ 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე შეისწავლის და დაადგენს სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და აღნიშნულს გაითვალისწინებს 2026-2027 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შეიქმნას დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, თუ როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი.

ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №4.2.3.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია: სკოლაში შექმნილმა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფმა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე, უნდა შეისწავლოს და დაადგინოს სსსმ მოსწავლის საჭიროებები და აღნიშნული გაითვალისწინოს 2026-2027 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შედეგად შეიქმნას დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი №1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარებით, რომლებიც ეხება მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის კარიერული განვითარებისა და შესაძლებლობების შეფასებას/ანალიზს, სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლისთვის, უნდა დაასრულოს კვლევა და მისი შედეგები გაითვალისწინოს სამოქმედოდ. მნიშვნელოვანია, სკოლამ კვლევაში ჩართოს მოსწავლეები და მიიღოს მათგან ინფორმაცია კონკრეტულად კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შესახებ.
ინდიკატორი №4.2.3.1	სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო	სკოლაში შექმნილმა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფმა, შესაბამისობის გეგმით

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას	გათვალისწინებულ ვადაში, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე, უნდა შეისწავლოს და დაადგინოს სსსმ მოსწავლის საჭიროებები და აღნიშნული გაითვალისწინოს 2026-2027 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დროს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შედეგად შეიქმნას დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი №1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია, სკოლამ დამატებით აქტივობები განახორციელოს, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს უფრო დეტალურად გააცნოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
ინდიკატორი №1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სტრატეგიული გეგმის მიზნების განსაზღვრა და დამტკიცების პროცედურა განხორციელდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, ან ცვლილება შევიდეს მეთოლოგიის დოკუმენტში და, პროცესები გაიწეროს პრაქტიკის შესაბამისად (იხ. ინდიკატორის აღწერა).
ინდიკატორი №1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ ცვლილება უნდა შეიტანოს სტრატეგიულ გეგმაში და გაითვალისწინოს ერთწლიანი გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება- შესაბამისი ამოცანებით.
ინდიკატორი №1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი	მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნოს შესრულების ინდიკატორი და მტკიცებულება (იხ, ინდიკატორის აღწერა).

	ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	
ინდიკატორი №1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	ა) მნიშვნელოვანია, სტრატეგიული დაგეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მუხლები ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს. სამოქმედო გეგმის შეფასება და ანალიზი უნდა განხორციელდეს ამავე გეგმაში განსაზღვრული აქტივობების მიხედვით. ბ) მნიშვნელოვანია, სკოლამ სამოქმედო გეგმის შეფასება განახორციელოს იმგვარად, როგორც ეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით აქვს გაწერილი.
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი №4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	ა) მიზანშეწონილი იქნება, სკოლამ შექმნას საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესი; ბ) მიზანშეწონილი იქნება, სკოლამ განსაზღვროს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი;
ინდიკატორი №4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის	ა) მიზანშეწონილი იქნება, სკოლამ შექმნას საკუთარი სკოლის საზოგადოებაზე მორგებული მოსწავლის ჩარიცხვის,

	დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკუთარი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ამ მიმართულებით მოქმედ კანონმდებლობასთან; ბ) სასურველია, მომავალში სკოლამ იზრუნოს თემისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდაზე სკოლაში მობილობის ან ჩარიცხის საკითხებთან დაკავშირებით, სკოლის შიდა რეგულაციების და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ მოსწავლეთა მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეჩერებისას.
ინდიკატორი №4.1.2.3.	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი	მიზანშეწონილი იქნება, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება წრეებისა და კლუბების სახით
ინდიკატორი №4.1.2.4	სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი,	მიზანშეწონილია, კლასიდან კლასში მოსწავლის/მოსწავლეების გადაყვანის/არგადაყვანის, მოსწავლის/მოწავლეების საფეხურის დაძლევის/ვერდაძლევის შესახებ არ განიხილოს

	გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული	პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რადგან აღნიშნული საკითხი არ შედის პედაგოგიური საბჭოს კომპეტენციებში.
ინდიკატორი №4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	მიზანშეწონილია, მოსწავლის აკადემიური მიღწევების თაობაზე, სკოლამ შეიმუშაოს შიდა მექანიზმები მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების გზების შესახებ.
ინდიკატორი №4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	მიზანშეწონილია, სკოლამ განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მიმართავს მოსწავლე ინიციატივების შესახებ ინფორმაციით.
ინდიკატორი №4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	მიზანშეწონილია, სკოლის მიერ გათვალისწინებული იქნეს, რომ უკუკავშირის მიზანი არ არის მხოლოდ ინფორმაციის მიღება. აღნიშნული უკუკავშირი უნდა გაანალიზდეს სკოლის მხრიდან და დაიგეგმოს გაუმჯობესების გზები.
ინდიკატორი №4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	მიზანშეწონილია: ა) მოეწყოს მიზნობრივი ექსკურსიები პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, სხვადასხვა კომპანიასა და დასაქმების ობიექტებში; ბ) მოეწყოს შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, სადაც მოსწავლეები შეძლებენ,

		მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, კონკრეტული პროფესიების სპეციფიკის გათვალისწინებით.
ინდიკატორი №4.2.3.2	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს	მიზანშეწონილია: ა) ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მკაფიოდ ჩანდეს გასული სასწავლო წლის მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები და შენიშვნები; ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის #40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 42[1] მუხლის მე - 2 პუნქტით განსაზღვრული სკოლის ისგ-ის ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნება სკოლის დირექტორი.
ინდიკატორი №4.2.4.2.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას	მიზანშეწონილია, სკოლამ გააფორმოს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება ტრანსპორტით მომსახურებასთან დაკავშირებით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი №1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი №1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს ამოცანები, აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და საჭირო რესურსები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 24.11.2023 – 24.12.2023	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია:

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების მაღალ ხარისხს, ურთიერთთანამშრომლობის, ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნის გზით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ნიჭის აღმოჩენას. ქმნის მათთვის უსაფრთხო გარემოს ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისა და გამოყენებისათვის. მზად არის მისცეს მოსწავლეებს საბაზო ცოდნა და უნარ-ჩვევები. სკოლა ხელს შეუწყობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, წიგნიერების დონის ამაღლებას, ასევე მოზარდს ღირებულებების, უნარების, დამოკიდებულების, ცოდნისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენციას შესძენს.

სკოლის ხედვა:

სკოლის მომავლის ხედვა დაფუძნებულია მოსწავლის ინტერესებზე, ურთიერთთანამშრომლობასა და ინოვაციებზე. სასკოლო საზოგადოება ვემსახურებით, რომ მოსწავლე, როგორც პიროვნება იყოს ბედნიერი, როგორც მოქალაქე იყოს ღირსეული და იყოს ლიდერი: მაძიებელი და შემქმნელი. სკოლა იზრუნებს ამ ხნის განმავლობაშო იყოს მყარ, ინოვაციურ და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად.

სკოლის ღირებულებები:

სიყვარული, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, ერთგულება, პასუხისმგებლობის გრძნობა, პატრიოტიზმი და ტოლერანტობა.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლას მისიაში განცხადებული და განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის შესაძლებლობებისა და ნიჭის აღმოჩენას, გამოვლინებასა და გამოყენებას, მისთვის საბაზო ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვენების განვითარებას. სკოლის ხედვით, პიროვნება იყოს ბედნიერი, როგორც მოქალაქე იყოს ღირსეული და ლიდერი: მაძიებელი და შემქმნელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დირექტორის 2023 წლის 28 სექტემბრის №53 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იმუშავა ამ მიმართულებით, ჩაატარა გამოკითხვა მოსწავლეებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, შეიმუშავდა სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ვერსია. 2025 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმში ჩანს, რომ საბჭომ, რომელშიც შედიოდნენ მასწავლებლები და მშობლები, განიხილა სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილი მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, იმსჯელა მასზე და შეითანხმა იგი. გარდა ამისა, 2025 წლის 8 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმის მიხედვით, მასწავლებლებმა განიხილეს სკოლის ფილოსოფიის-მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი და აზრების ურთიერთშეჯერებით, დაამტკიცეს სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლა მცირერიცხოვანია, ამდენად, სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილოება, თავისთავად მეტყველებს, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია, სკოლამ დამატებით აქტივობები განახორციელოს, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს უფრო დეტალურად გააცნოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ფოტომასალიდან ირკვევა, რომ სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, სკოლის საინფორმაციო დაფაზეა წარმოდგენილი და, ასევე, განთავსებულია ვებგვერდზე: skolebi.emis.ge

5. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება - სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ორგორის საჯარო სკოლა - შეესაბამება მის სტატუსს და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პედსაბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის ოქმი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახეb
- დირექტორის 2023 წლის 28 სექტემბრის №53 ბრძანება სტრატეტიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმენის შესახებ
- გამოკითხვის ფორმები
- 2025 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 28 სექტემბრის №52 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება ისეთ მიდგომებს, როგორებიცაა: გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მიზანშეწონილობა, სოციალური პასუხისმგებლობა. აქედან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის სტრატეგიული გეგმა (2023-2030) გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. ის შედგენილია SWOT ანალიზის საფუძველზე. მასში ასახულია სკოლის სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ჩაშლილია ამოცანებად/მიზნების მიღწევის გზებად, გათვალისწინებულია შესრულების ვადებიც.

სტრატეგიული მიზნებია:

1) სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა
2) კვალიფიციური კადრები
3) არაფორმალური განათლების გაძლიერება
4) ციფრული ტრანსფორმაცია
5) საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა
6) მონიტორინგი და შეფასება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ, თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ მას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

სტრატეგიული გეგმა დაამტკიცოს სამეურვეო საბჭომ ან ცვლილება უნდა შევიდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026) განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. ერთწლიან გეგმაში გვხვდება 1 სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება - და მისი შესაბამისი ამოცანები. აღნიშნული ასევე გვხვდება 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაშიც. სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება - არ არის გაწერილი სტრატეგიულ გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ ცვლილება უნდა შეიტანოს სტრატეგიულ გეგმაში და გაითვალისწინოს ერთწლიანი გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება- შესაბამისი ამოცანებით.

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, ინდიკატორები და რესურსები.

რჩევა: აღსანიშნავია, რომ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული შესრულების ზოგიერთი ინდიკატორი უფრო ზუსტად უნდა გაიწეროს, მაგ.: ერთ-ერთი აქტივობაა: ინფორმაციულ-ტექნოლოგიების და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში, ხოლო მისი შესრულების ინდიკატორია: ფოტო და ვიდეო მასალა. სკოლამ ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გამიჯნოს შესრულების ინდიკატორი და მტკიცებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-7 მუხლი მოიცავს გეგმების შესრულების ზოგადი პროცესის აღწერას, ხოლო მე-9-მე-12 მუხლები - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის დოკუმენტში, მე-7 მუხლში, აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის დირექცია. ამავე დოკუმენტის მე-12 მუხლში წერია, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს, ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად, ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო. შეფასების შემდგომ სამეურეო საბჭო ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს.

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელშიც არ ჩანს, რომ იგი სკოლის სამეურვეო საბჭოს შეფასების შედეგია. ამასთან, აღნიშნულია, რომ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში არ არის ამგვარად წარმოდგენილი, კერძოდ, არ არის სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულების შეფასება, ასევე შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით.

რჩევა: ა) მნიშვნელოვანია, სტრატეგიული დაგეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მუხლები ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს. გეგმის შეფასება და ანალიზი უნდა განხორციელდეს ამავე გეგმაში განსაზღვრული აქტივობების მიხედვით.

ბ) მნიშვნელოვანია, სკოლამ სამოქმედო გეგმის შეფასება განახორციელოს იმგვარად, როგორც ეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით აქვს გაწერილი.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის ვებგვერზე გამოქვეყნებულია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სკოლა შედეგებს გამოიყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგია

- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით. მათ შორისაა გამოხატვის, რწმენის, შეკრების და აკადემიური თავისუფლება. ასევე პირადი საიდუმლოს უფლება, უფლება მიიღონ საჯარო ინფორმაცია, სასკოლო რესურსებზე წვდომის უფლება, სამართლიანი მოპყრობის უფლება. ასევე განსაზღვრულია დისციპლინის საკითხები, მათ შორის გასაჩივრების სისტემაც. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ფორმისაგან დაცვას. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.სკოლაში ამით რეალიზირებულია მოსწავლის უფლებები და შექმნილია მათი დაცვის გარანტიები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა:

ა) შექმნან საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესი;

ბ) განსაზღვრონ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი;

გ) შექმნან მრჩეველთა საბჭო.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

„მოსწავლის, მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებებისა დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მორიგეობის განრიგი, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაცია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის ს კოლის ვებგვერდის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლის მიერ გამოგზავნილია ხელშეკრულების ნიმუშები, რომლებიც გაფორმებულია სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებგვერდი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის დაცვის და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას განსაზღვრული არ აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკუთარი მექანიზმები. ის, როგორც საჯარო სამართლი იურიდიული პირი, ახორციელებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების, მობილობის და საფეხურის დაძლევის რეგულაციებს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:

ა) მოსწავლის ჩარიცხვას და მობილობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად;

ბ) მობილობას ახორციელებს - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად;

გ) საფეხურის დაძლევას ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. ამავე ბრძანების მიხედვით ხორციელდება სკოლაში საფეხურის დაძლევაც. აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ჩანაწერებია გაკეთებული სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას. სკოლაში წესების შესრულებაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა:

ა) შექმნას საკუთარი სკოლის საზოგადოებაზე მორგებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკუთარი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ამ მიმართულებით მოქმედ კანონმდებლობასთან;

ბ) სასურველია, მომავალში სკოლამ იზრუნოს თემისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდაზე სკოლაში მობილობის ან ჩარიცხის საკითხებთან დაკავშირებით, სკოლის შიდა რეგულაციების და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ მოსწავლეთა მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეჩერებისას.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები, რომლებშიც ჩანს, რომ იგი იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ კი, საქართველოს განათლების მინისტრის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არა მოსწავლეთა დამატებითი მომსახურება. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია რომელი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სკოლა და რა სპეციფიკით. არ ჩანს, სთავაზობს თუ არა სკოლა მოსწავლეებს დამატებით საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო მომსახურებებს წრეებისა და კლუბების სახით. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეების მხრიდან ქცევის წესებისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული მისაღები ზომები. სკოლის სასწავლო გეგმა და შინაგანაწესი საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ინფორმაცია ასევე ვრცელდება დამრიგებლების/კლასის ხელმძღვანელის მეშვეობით მშობლებთან შეხვედრებზე და დახურულ ჯგუფებში კომუნიკაციით. შესაბამისად, ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა: მოსწავლეებს შესთავაზონ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება წრეებისა და კლუბების სახით;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სოციალურ ქსელში, სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასა და არ ეწინააღმდეგება მას. გავრცელებული ინფორმაცია გასაგებია და ხელმისაწვდომია ყველასათვის, არაა ბუნდოვანი და არის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ინფორმაციის განახლება ასევე ხდება დამრიგებლების/კლასის ხელმძღვანელის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ აყენებს უპირატეს მდგომარეობაში სასკოლო საზოგადოების კონკრეტულ წევრს/წევრებს, არც დაინტერესებული პირების კონკრეტულ ჯგუფს და არ უგულებელყოფს სხვა პირების/ჯგუფების ინტერესებს. ნებისმიერი დაინტერესებული პირი სარგებლობს თანაბარი უფლებებით, რაც დასტურდება გავრცელებული ინფორმაციის შინაარსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა: კლასიდან კლასში მოსწავლის/მოსწავლეების გადაყვანის/არგადაყვანის, მოსწავლის/მოწავლეების საფეხურის დაძლევის/ვერდაძლევის შესახებ არ განიხილოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. აღნიშნული საკითხი არ შედის პედაგოგიური საბჭოს კომპეტენციებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025–2026 სასწ. წლის სასწავლო გეგმა;
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის და მობილობის დამტკიცების მექანიზმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ
- სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომელშიც გათვალისწინებულია ისეთი პროცედურები და ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება ახალ მოსწავლეს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში. გარდა ახალი მოსწავლისა, ადაპტაციის მექანიზმი, შესაძლოა, საჭირო გახდეს იმ მოსწავლეებისთვისაც, რომელთა ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში ართულებს სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად: ენობრივი ბარიერის არსებობა ან რაიმე სხვა მიზეზით აქვს სასკოლო გარემოსთან ინტეგრირების პრობლემები. მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციის მექანიზმებში გათვალისწინებულია მაქსიმალურად ყველა ის ფაქტორი, რომლებიც შეიძლება აფერხებდეს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტირებას. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა დააიდენტიფიცირებს ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და დასახავს მათი გადაჭრის გზებს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები, რაც ერთგვარად ავსებს სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

ადაპტაციის ხელშეწყობას სკოლა ახორციელებს სწავლის დაწყების მომენტიდანვე. ადაპტაციის მექანიზმის ფუნქციონირება სკოლაში ჩანს პირველი კლასის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღის მოწყობით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სწავლის პირველ დღეს სკოლის ტერიტორიაზე საზეიმო დახვედრის მოწყობით, პირველ სასწავლო დღეს გაკვეთილების პროცესის განსხვავებული ფორმატით ჩატარებით, პირველ კლასელების საკლასო ოთახში შესვლისას ორგინალური დახვედრით, სასწავლო წლის განმავლობაში და მის დაწყებამდე ისეთი მამოტივირებელი აქტივობების, შიდა და გასვლითი ღონისძიებების მოწყობით, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალი მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას, მაგალითად ასეთი იყო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების სტუმრობა საბავშვო ბაღში მომავალ პირველკლასელებთან, .პირველკლასელთათვის

სკოლის გარემოს გაცნობა, რომელიც ყოველთვის კეთდება. აღნიშნულის შესახებ სკოლას აქვს ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავსდება სკოლის ვებგვერდზე და ასევე სკოლის სოციალურ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს სკოლის შესაბამის რგოლს მხარდაჭერისთვის. სკოლა მუდმივად აკონტროლებს სწავლის ხარისხს და ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სკოლაში დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური) სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები. გარდა ამისა, სკოლაში მიმდინარეობს შემაჯამებელი დავალებების ანალიზების გაკეთება, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები/კონსულტაციები, რაც ეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ სწავლაში ჩამორჩენა და სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ არიან. რემედიაციის პროგრამა მოქმედებს ასევე საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაშიც, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეს საგნის დაძლევაში. სკოლა, აგრეთვე, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წინ კონსულტაციას უწევს მოსწავლეებს, რომლებმაც უნდა ჩააბარონ აღნიშნული გამოცდები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მოსწავლის აკადემიური მიღწევების თაობაზე სკოლამ შეიმუშაოს შიდა მექანიზმები მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების გზების შესახებ.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები, სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი

ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, მხარს უჭერს კლუბების შექმნის ინიციატივებს. სკოლის მიერ დაცულია ადმინისტრაციული მხარდაჭერის მაქსიმალური ვადა, რომელიც არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს, რათა ხელი არ შეეშალოს მოსწავლის უფლებების რეალიზებას. აღნიშნული ვალდებულება ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მობილობის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულიციების და ვადების შესახებ, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების, კონკურსის თუ აქტივობის შესახებ, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნით ცნობის დროულად გაცემას და ა.შ. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს დროულად და უზრუნველყოფდეს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა მოსწავლეს აძლევს არაფორმალური განათლების მიღების საშუალებას და მხარს უჭერს სასწავლო პროგრამის მიღმა დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გამოიკვლიონ მოსწავლეთა ინტერესები და განახორციელონ შესაბამისი აქტივობები. მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სკოლას შეუძლია სოციალური ქსელის და ვებგვერდის მეშვეობით. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლა იცავს დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად დადგენილ საკანონმდებლო მოთხოვნებს. აქტივობების ორგანიზებასა და განხორციელებაში სკოლას გათვალისწინებული ჰყავს: მასწავლებლები, კლასების დამრიგებლები და სხვა პოზიციაზე მყოფი პირები, რომლებსაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია, გამოცდილება და შესაბამისი უნარები. მოსწავლემ უნდა იცოდეს, თუ ვის შეიძლება მიმართოს სკოლაში არაფორმალური აქტივობების ინიციატივის გაჩენის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს კლასის დამრიგებელი, დირექტორის მოადგილე, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც სკოლა განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირად ინიციატივების შესახებ მოსწავლისგან ინფორმაციის მიღების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მიმართავს მოსწავლე ინიციატივების შესახებ ინფორმაციით.

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა მუდმივად ზრუნავს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამისათვის, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან და სკოლის პერსონალისგან იღებდეს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ. სკოლის მხრიდან, სკოლის საზოგადოებისგან უკუკავშირების მიღება ხდება თითქმის ყოველდღიურად, რადგან მშობელთა დიდ ნაწილს ხშირი კონტაქტი აქვს სკოლასთან დასახლების კომპაქტურობისა და სკოლის მცირეკონტინგენტიანობის გამო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია, სკოლამ უკუკავშის დროს მხოლოდ ინფორმაციის კი არ მიიღოს, არამედ აღნიშნული უკუკავშირი გააანალიზოს და დაიგეგმოს გაუმჯობესების გზები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია;
- ექსტერნების გამოცდის წინ შედგენილი საკონსულტაციო განრიგი;
- საგნობრივი კათედრის ოქმებით;
- მოთხოვნის შესაბამისად, გაცემული ცნობებით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლაში აქტივობები ინტეგრირებულია სადამრიგებლო/სააღმზრდელო პროგრამაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში (სასკოლო კურიკულუმში). პროფესიის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით, კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლების მიერ ხორციელდება თემატური აქტივობები. სკოლაში შესაძლებლობის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

სკოლა ეხმარება მოსწავლეებს, ცალკეული პროფესიებისა და დასაქმების პერსპექტივების გაცნობაში, ეხმარება კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. სკოლას გააფორმებული აქვს მემორანდუმი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან. ჩატარდა შეხვედრა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მოსწავლეებთან და მათ მასწავლებლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფიებულია.**

რჩევა:

ა) მოეწყოს მიზნობრივი ექსკურსიები პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, სხვადასხვა კომპანიასა და დასაქმების ობიექტებში;

ბ) მოეწყოს შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, სადაც მოსწავლეები შეძლებენ, მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, კონკრეტული პროფესიების სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლაში გავრცელებული ინფორმაცია პროფესიებთან და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებით არის გადამოწმებული და ეფუძნება სანდო წყაროებს. სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას, რა პროფესიას შეიძლება დაეუფლოს მოსწავლე საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ. სკოლაში შემუშავებულია კითხვარი პროფესიების არჩევაზე. ამისათვის, სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას პროფესიული და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და არსებული პროფესიების შესახებ. ინფორმირება ხორციელდება დროულად, გონივრულ ვადაში, საფეხურის დამამთავრებელი კლასის დასრულებამდე. სამწუხაროდ, სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელება უწევთ ასპინძის სკოლაში, რადგან,, სოფლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე არაა სხვა ახლომდებარე სკოლა, რომელიც საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდეს, ამის შესახებ დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას ასპინძის სკოლის და პროფესიული სასწავლებლების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

თავდაპირველად სკოლის მიერ წარმოდგენილი არ იყო კითხვარები (ან სხვა მსგავსი კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები), რომლებითაც სკოლა სასკოლო საზოგადოებისგან მიიღებდა კარიერული განვითარების შესაძლებლოების შესახებ მომსახურეობის შეფასებას და რომლის ანალიზის შედეგების გაითვალისწინებაც დაიგეგმებოდა მომავალი წლის მომსახურეობა. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა კითხვარები-მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის ანონიმური კითხვარი, ბრძანება კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და მომსახურების შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფის ანალიზი და დასკვნა, რომელშიც გამოკვეთილია მასწავლებელთა და სკოლის პერსონალთა საჭიროებები. ანალიზის შედეგებისა და დასკვნის შედეგად, დაიგეგმა 2026-2027 სასწავლო წლის მომსახურება, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული პროცესის დასრულების ვადად სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრა 2027 წელი, ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია** და გასცა რეკომენდაცია:

სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარებით, რომლებიც ეხება მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის კარიერული განვითარებისა და შესაძლებლობების შეფასებას/ანალიზს, სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლისთვის, უნდა დაასრულოს კვლევა და მისი შედეგები გაითვალისწინოს სამოქმედოდ.

მნიშვნელოვანია, სკოლამ კვლევაში ჩართოს მოსწავლეები და მიიღოს მათგან ინფორმაცია კონკრეტულად კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- მემორანდუმი;
- ფოტო და ვიდეო მასალით;
- კითხვარი პროფესიის არჩევაზე;

- მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის გამოკითხვის ანონიმური კითხვარი
- ბრძანება კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და მომსახურების შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის ანალიზი და დასკვნა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, ის შეფასებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავებაშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლის მშობელმა, დამრიგებელმა, საგნის მასწავლებლებმა და სპეცმასწავლებელმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ზოგადი დებულებები, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ისგ ჯგუფისა და ისგ-ის შექმნის პროცედურები, სსსმ მოსწავლის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესი, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. სკოლაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიმუშავებულია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. აღნიშნულ გეგმაში გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანების 34-ე მუხლის საფუძველზე, სკოლა ვალდებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნას ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს, შემუშავებული შიდა პროცედურის შესაბამისად. თუმცა,

ა) თავდაპირველ ეტაპზე სკოლა არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომლითაც სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია „ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი“ და ასევე, არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდებოდა, როგორ ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი;

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის მიზანია:

ა) უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი არაწაკლებ ერთხელ სასწავლო წლის განმავლობაში;

ბ) უზრუნველყოს სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;

გ) შეადგინოს შიდა მინიტორინგის დასკვნა და შედგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

დ) მონიტორინგი გაუწიოს ისგ ჯგუფის მიერ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა, რომ 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე შეისწავლის და დაადგენს სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და აღნიშნულს გაითვალისწინებს 2026-2027 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შეიქმნას დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი;

ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია: სკოლაში შექმნილმა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფმა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე, უნდა შეისწავლოს და დაადგინოს სსსმ მოსწავლის საჭიროებები და აღნიშნული გაითვალისწინოს 2026-2027 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შედეგად შეიქმნას დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გამოჩნდება, როგორ ხორციელდება სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას აქვს წინა წლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაშია გადაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. დასკვნაში აღნიშნული ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება არ ჩანს მომავალი ინდგეგმის შემუშავებისას. თუმცა წარმოდგენილი დოკმენტების მიხედვით ჩანს, რომ სკოლა სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისთვის იყენებს წინარე გამოცდილებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული.

რჩევა:

ა) ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მკაფიოდ ჩანდეს გასული სასწავლო წლის მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები და შენიშვნები;

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის #40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 42[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სკოლის ისგ-ის ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნება სკოლის დირექტორი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ისგ სხდომის ოქმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებას, რომელიც საჭიროებს მარეგულირებლიდან ნებართვას მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებიდან (სოფლის სხვადასხვა უბნიდან და მეზობელი სოფლიდან). აღნიშნული მომსახურება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში. სკოლის მიერ წარმოადგენილია ტრანსპორტირების ტაბელი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

მოსწავლეებისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ტრანსპორტის მომსახურება ნებაყოფლობითია და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. ამ მომსახურებაზე უარი არ ზღუდავს მოსწავლის განათლების უფლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: გააფორმოს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება ტრანსპორტით მომსახურებასთან დაკავშირებით.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობა-ტრანსპორტით მომსახურება-ხორციელდება უსაფრთხოების წესების დაცვით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ტრანსპორტის ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი:
18.06.2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: